



ტერიტორიული კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა: პოლიტიკური ელიტის მიზანი თუ საშუალება? ფოლკლენდის მაგალითი

სოფიკო ალავერდაშვილი*

დოქტორანტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

რეზიუმე

არგენტინის 1982 წლის ინტერვენცია ფოლკლენდის კუნძულებზე უამრავ კითხვას ბადებს. ერთი მხრივ, გაუგებარია, რატომ განახორციელა არგენტინის ხუნტამ შეტევა დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, როდესაც ამ უკანასკნელს არგენტინასთან შედარებით აშკარა უპირატესობა გააჩნდა და არგენტინა თავიდანვე წაგებისთვის იყო განწირული. მეორე მხრივ, უცნაურია, რატომ ჩაება დიდი ბრიტანეთი არგენტინის წინააღმდეგ ომში ისეთი შორეული და სტრატეგიულად უმნიშვნელო ტერიტორიის გამო, როგორც ფოლკლენდის კუნძულებია. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, აღნიშნული კონფლიქტი განვიხილოთ დივერსიული ომის თეორიის ჭრილში, რაც კრიზისულ ვითარებაში ხელოვნურად შექმნილი სამხედრო დაპირისპირების გზით პოლიტიკური ელიტის მიერ ხელისუფლების პოპულარობის ზრდას გულისხმობს და ავსხნათ, როგორ იყენებს პოლიტიკური ელიტა ტერიტორიულ კონფლიქტს საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად, როგორ ახერხებს კონფლიქტში მიღწეული წარმატებით ხელისუფლების შენარჩუნებას ან როგორ კარგავს მას კონფლიქტში განცდილი კარხის გამო. ნაშრომში ჩვენ შევეცდებით, დავამტკიცოთ: ა) საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკური ელიტისთვის მნიშვნელოვანია; ბ) საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკური ელიტის მიერ კონტროლირებადი და მართვადია; გ) საზოგადოებრივი აზრის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ელიტის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული აზრი ქვეყანაში არსებულ ძირითად ღირებულებებს შეესაბამება.

საკვანძო სიტყვები: ფოლკლენდის კონფლიქტი, პოლიტიკური ელიტა, დივერსიული ომი, საზოგადოებრივი აზრი

Abstract

The 1982 Falklands War raises numerous questions. On the one hand, it is not clear, why Argentina invaded the territory of Great Britain, while the latter was much stronger than the former and Argentina a priori was meant to lose. On the other hand, it is strange that Great Britain engaged in a war with Argentina over such a far off and strategically unimportant territory. In this article, I look at the issue in the context of Diversionary War Theory. Diversionary War Theory looks at the uses of war for increasing the popularity of governments during political crisis while engaged in military actions and explains how political elites use territorial conflicts in order to influence public opinion, how they manage to contain power through success in conflict or how they lose their power by losing in a conflict. We claim that a) on the one hand, public opinion does matter to political elites; b) on the other hand, public opinion is controlled and ruled by them; c) public opinion can be formed only in case the idea suggested by the government is in accordance with the dominant values of society.

Keywords: Falklands conflict, political elites, diversionary war, public opinion

* ელ. ფოსტა: tw_also@yahoo.com

1. შესავალი

1982 წელი მსოფლიო ისტორიაში უცნაური და მნიშვნელოვანი მოვლენებით დაიწყო. 10 იანვარს დიდ ბრიტანეთში ყველაზე დაბალი ტემპერატურა -27.2 C დაფიქსირდა. 26 იანვარს ასევე დიდ ბრიტანეთში უმუშევართა რაოდენობა ომის შემდგომ პერიოდში 129,918-დან 3,070,621-მდე გაიზარდა. 2 თებერვალს სირიაში ჰამას ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. 10 მარტს მოხდა სიზიჯი ანუ ცხრა პლანეტის მზის ერთ მხარეს განლაგება. 19 მარტს არგენტინელმა ვაჭარმა ფოლკლენდის კუნძულ სამხრეთ ჯორჯიაში არგენტინული დროშა აღმართა. 2 აპრილს არგენტინა ფოლკლენდის კუნძულებზე შეიჭრა. შეიძლება ითქვას, რომ უცნაურობის მხრივ ფოლკლენდის ომი სიზიჯის არაფრით ჩამოუვარდებოდა, რადგან არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის დაპირისპირება მკვლევარებში დღემდე მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას აჩენს.

პირველი საკითხი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, კუნძულების გაურკვეველი სტატუსია. სხვა ტერიტორიული კონფლიქტებისგან განსხვავებით, ფოლკლენდის კუნძულების სტატუსი ძალზე ბუნდოვანი და კომპლექსურია. არგენტინელებს სკოლებში ასწავლიან, რომ ფოლკლენდის კუნძულები ყოველთვის არგენტინას ეკუთვნოდა და დიდმა ბრიტანეთმა 1833 წელს მათი ტერიტორია მიითვისა. მაგრამ სკოლებში არ ისწავლება ის, რომ დიდმა ბრიტანეთმა კუნძულები ესპანეთის თანხმობით ჯერ კიდევ 1760-იან წლებში დააპყრო, მაშინ, როდესაც არგენტინა, როგორც სახელმწიფო არ არსებობდა (Lavier, 2001). შესაბამისად, არგენტინის მტკიცება, რომ დიდმა ბრიტანეთმა მისი სუვერენიტეტი დაარღვია, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან იმ ქვეყნის სუვერენიტეტი, რომელიც ამ ამბიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა, პრაქტიკულად ვერ შეილახებოდა. აქედან მოდის ფოლკლენდის კუნძულების სტატუსთან დაკავშირებული გაურკვეველობა. ერთი მხრივ, კუნძულები გეოგრაფიულად არგენტინას ეკუთვნის, მაგრამ, მეორე მხრივ, დიდმა ბრიტანეთმა ისინი მაშინ მიითვისა, როდესაც არგენტინა, როგორც სახელმწიფო ჩამოყალიბებული არ იყო. შესაბამისად, ძნელი სათქმელია, არის ეს არგენტინის კუნძულები, რომლებიც დიდმა ბრიტანეთმა უკანონოდ მიითვისა თუ დიდი ბრიტანეთის ტერიტორია, რომელზეც არგენტინა უსაფუძვლოდ აცხადებს პრეტენზიას.

მეორე საკითხი, რომელიც არანაკლებ პრობლემურია, ფოლკლენდის კუნძულებზე მცხოვრებლების თვითგამორკვევის უფლებას უკავშირდება. კუნძულის მცხოვრებლები თავს დიდი ბრიტანეთის ნაწილად მიიჩნევენ. 2013 წელს ჩატარებულ რეფერენდუმში, სადაც კუნძულების მოსახლეობას არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი, ამომრჩეველთა 99,8%-მა მხარი დიდ ბრიტანეთს დაუჭირა (Brindicci & Bustamante, 2013). არჩევნების ერთ-ერთი მონაწილის, რომ მაკჯილის, განცხადებით, მისთვის რეფერენდუმი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან არ სურს, არგენტინის ნაწილი გახდეს (Bustamante, 2013). ხოლო ფოლკლენდის კუნძულების გაზეთ „პენგვინ ნიუსის“ რედაქტორის, ჯონ ფოულერის, თქმით, ფოლკლენდის კუნძულების მცხოვრებლებმა იციან, ვინ არიან, რა სურთ და ეს არგენტინის კოლონიად ყოფნა ნამდვილად არ არის (Gavaghan, 2013). მოსახლეობის მსგავსი დამოკიდებულება ბუნებრივია, რადგან დიდმა ბრიტანეთმა თავის დროზე კუნძულებზე მცხოვრები არგენტინელები გააძევა

და იქ ბრიტანელები ჩაასახლა. შესაბამისად, კუნძულების მცხოვრებლები ბრიტანელების შთამომავლები არიან და მათი იდენტობაც ბრიტანულია. და მაინც, საერთაშორისო საზოგადოება ვერ თანხმდება, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მათი მოთხოვნა. ერთი მხრივ, გაეროს ქარტიის პირველი თავის პირველი მუხლი (Charter of the United Nations, 1945) და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი (The Universal Declaration of Human Rights, 1948) ყველა ერს თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს; მეორე მხრივ, გაეროს გენერალური ასამბლეის №1514 რეზოლუცია დიდ ბრიტანეთს ფოლკლენდის კუნძულების დატოვების ვალდებულებას აკისრებს (1514 (XV). Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and People, 1960). იქმნება ვითარება, რომელშიც ერთი პრინციპის დაცვა ავტომატურად მეორის დარღვევას იწვევს, რაც საერთაშორისო საზოგადოებას რთული დილემის წინაშე აყენებს.

მესამე საკითხი, რომელსაც ბევრი მკვლევარი დღემდე ვერ ხსნის, დიდი ბრიტანეთის კუნძულებით უცნაური დაინტერესებაა. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობას არასდროს ესმოდა, რატომ ვერ თმობდა დიდი ბრიტანეთი ისეთ შორეულ და სტრატეგიულად უმნიშვნელო ტერიტორიას, როგორც ფოლკლენდია. ტერიტორიისადმი ბრიტანელების დამოკიდებულება ნათლად არის გამოხატული ბრიტანელი მოგზაურის, სამუელ ჯონსონის, სიტყვებში, რომელიც 1771 წელს ფოლკლენდის კუნძულებს შემდეგნაირად ახასიათებს: „შიშველი და პირქუში სიმარტოვე, ადამიანისთვის ყოვლად გამოუსადეგარი კუნძული, ზამთარში შტორმიანი და ზაფხულში მოუსავლიანი, კუნძული, რომელიც საცხოვრებლად ვარგისად სამხრეთელმა ველურებმაც არ ჩათვალეს“ (Freedman, 2005). ფოლკლენდის წყლებში ნავთობისა და გაზის აღმოჩენამ და 2015 წლიდან ნავთობის მოპოვების პირველი პროგრამის, „ზებიდის“, ამოქმედებამ (Ashcroft, 2015) კუნძულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა, მაგრამ ბუნებრივი რესურსების აღმოჩენამდე დიდი ბრიტანეთის კუნძულებით დაინტერესება არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სამივე საკითხი საინტერესო საკვლევო თემა იქნებოდა, არც ერთი მათგანი ჩვენი კვლევის საგანი არაა და ისინი მხოლოდ კონფლიქტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად განვიხილეთ. ჩვენი მიზანი არ არის, გავარკვიოთ, ვის ეკუთვნის ფოლკლენდის კუნძულები, აქვთ თუ არა კუნძულების მცხოვრებლებს ერთა თვითგამორკვევის უფლება ან რატომ იყო დიდი ბრიტანეთი ასე ძლიერ დაინტერესებული ისეთი „პირქუში“ და „ადამიანისთვის ყოვლად გამოუსადეგარი“ ტერიტორიით, როგორც ფოლკლენდის კუნძულებია. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ფოლკლენდის კონფლიქტის სულ სხვა ასპექტს, კერძოდ, კონფლიქტის მიმართ არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულებას შევისწავლით. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, როგორ რეაგირებს არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტა ფოლკლენდის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორ იყენებენ ისინი კონფლიქტს ხელისუფლების შესანარჩუნებლად ან როგორ კარგავენ მას ფოლკლენდში განცდილი კრახის გამო, როგორ მანიპულირებენ კონფლიქტის თემატიკით სასურველი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად და როგორ ქმნიან ამავე კონფლიქტის მეშვეობით სასურველ პოლიტიკურ გარემოს. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა არის პოლიტიკური ელიტისთვის ფოლკლენდის კონ-

ფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა - მიზანი თუ საშუალება - და თუ ეს არის საშუალება, როგორ იყენებენ ისინი იმ პოლიტიკურ ბერკეტს, რომელსაც ფოლკლენდის კონფლიქტი ეწოდება.

როგორც საკვლევი კითხვიდანაც ჩანს, ჩვენ მივიჩნევთ, რომ არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტა ფოლკლენდის კონფლიქტს საკუთარი მიზნების მისაღწევად და სასურველი საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად იყენებს. არგენტინის მხრიდან ფოლკლენდის დაბრუნების, ხოლო დიდი ბრიტანეთის მხრიდან მისი დაცვის რიტორიკას პატრიოტულ და პატერნალისტურ მოტივებს ნაკლებად ვუკავშირებთ და ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკური ელიტის პოპულარიზაციის მიზანს ემსახურება. არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერები ცდილობენ, ფოლკლენდის კონფლიქტის გამოყენებით საზოგადოების მხარდაჭერა და კეთილგანწყობა მოიპოვონ, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი აზრისადმი პოლიტიკური ელიტის მოწყვლადობაზე მეტყველებს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ: ა) საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკური ელიტისთვის მნიშვნელოვანია; ბ) საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკური ელიტის მიერ კონტროლირებადი და მართვადია; გ) საზოგადოებრივი აზრის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ელიტის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული აზრი ქვეყანაში არსებულ ძირითად ღირებულებებს შეესაბამება.

ჩვენი ჰიპოთეზის მესამე ნაწილი გულისხმობს შემდეგს: პოლიტიკურ ელიტას ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის ფუნდამენტურად შეცვლა არ შეუძლია და მისი შესაძლებლობები მხოლოდ არსებული პრობლემებიდან რომელიმეს აქტუალიზაციით, პრიორიტეტების ხელახალი განსაზღვრით და უკვე ჩამოყალიბებული იდეების გააქტიურებით ან მიჩქმალვით შემოიფარგლება. 1982 წელს პოლიტიკური ელიტის მხრიდან ფოლკლენდის ომით მანიპულირების მცდელობამ იმიტომ გაამართლა, რომ არგენტინელებს ფოლკლენდის კუნძულების დაბრუნება ყოველთვის სურდათ, ხოლო ბრიტანელებისთვის კუნძულზე მცხოვრები ბრიტანელების დაცვა პრინციპულად საჭირო და მისასალმებელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქმედება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა.

ჩვენი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მოვიშველიებთ აღნიშნულ საკითხზე ჩატარებულ რამდენიმე კვლევას. 1982 წელს არგენტინასა და დიდ ბრიტანეთში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ პერიოდისთვის ორივე ქვეყნის ხელისუფლების პოპულარობა იკლებს და კონფლიქტის ხელოვნურად გამწვავება ორივე მათგანს საზოგადოების ყურადღების გასაფანტად ესაჭიროება. ომისდროინდელ მედიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ პოლიტიკური ელიტა კონფლიქტის თემას ინფორმაციის სელექციისა და ფაქტების ინტერპრეტირების გზით სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის მიმართავს. ორ ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე მოვლენებიდან კი ჩანს, რომ ფოლკლენდის საკითხი არგენტინაში ეკონომიკური პრობლემების გადასაფარად, ხოლო დიდ ბრიტანეთში თავდაცვის სფეროში არამიზნობრივად გაწეული ხარჯების გასამართლებლად გამოიყენება. ამ და სხვა საყურადღებო საკითხებს მოგვიანებით შევეხებით.

2. ლიტერატურა

ნაშრომში დავეყრდნობით ფოლკლენდის თემატიკაზე გამოქვეყნებულ სხვადასხვა სტატიას, განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლით არგენტინულ და ბრიტანულ პრესას, რომელშიც ჩანს, როგორ აწვდიან ინფორმაციას ადგილობრივი მედიები საზოგადოებას, როგორ ხდება ფოლკლენდის კონფლიქტის კონსტრუირება ორი მხარის მიერ და როგორია მათი დამოკიდებულება ერთსა და იმავე საკითხზე. ამასთან, გარდა ადგილობრივი და საერთაშორისო პრესისა, აქტიურად მოვიშველიებთ ფოლკლენდის თემატიკაზე დაწერილ სხვადასხვა ლიტერატურას. არგენტინული მედიის მიერ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესის შესწავლისას ვიხელმძღვანელებთ უილიამ ბენ ჰანტის წიგნით „გზა ომისკენ: საერთაშორისო კონფლიქტის განსაზღვრა მასობრივი მედიის ინდიკატორების მიერ“. წიგნში ავტორი არგენტინული მედიის მუშაობას შეისწავლის და აჩვენებს, როგორ იწყებს ეს უკანასკნელი ინტერვენციისთვის ნიადაგის მომზადებას ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში მოყვანილი არგუმენტები ერთობ კომპლექსური და ზოგ შემთხვევაში ეზოთერულია, ავტორი ნათლად აყალიბებს ყველა იმ ინდიკატორს, რომლებიც ომის დაწყების ალბათობაზე მიანიშნებს. ბრიტანული მედიის მახასიათებლების შესწავლისას დავეყრდნობით ფილო ს. ვასბარნის წიგნს „საერთაშორისო სიახლეების სოციალური კონსტრუქცია: ჩვენ ვსაუბრობთ მათზე, ისინი საუბრობენ ჩვენზე“, რომელშიც ავტორი ფოლკლენდის ომის დროს ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ მედიამენეჯმენტის მიმართულებებს და იმდროინდელი მედიის თავისებურებებს მიმოიხილავს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ წიგნში განხილული მოვლენები უმეტესად აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის პოზიციებიდან არის გაშუქებული და შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა სახელწოდების მეორე ნაწილს, „ისინი საუბრობენ ჩვენზე“, მაგრამ დიდი ბრიტანეთის მიერ ფოლკლენდის ომის კონსტრუირების შესწავლის თვალსაზრისით წიგნი საკმაოდ ამომწურავი და ინფორმაციულია. ასევე გამოვიყენებთ ორ წიგნს: „ომი, კულტურა და მედია: მეოცე საუკუნის ბრიტანეთის სამხედრო გამოხატულებები“ და „ფოლკლენდის კონფლიქტი ოცი წლის შემდეგ: გაკვეთილები მომავლისთვის“. აღნიშნულ წიგნებში სტეფან ბედის ბრიტანეთის სამხედრო ოპერაციებში მედიის როლზე და მედიის როლთან დაკავშირებულ თეორიებზე საუბრობს. დაბოლოს, არგენტინის და ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტის მიერ ფოლკლენდის თემით მანიპულირების შესწავლისას დავეყრდნობით კრისტენ ეიჩენსერისა და მაიკლ რეისმანის წიგნს „ომის შეწყვეტა და მშვიდობის დამყარება: საერთაშორისო ინტერვენციების შესწავლა“, რომელშიც საუბარია 1982 წელს ორ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის პრობლემებზე. წიგნში დაწვრილებით არის განხილული ფოლკლენდის კონფლიქტის თითოეული მხარის პოზიციები და ომის შეწყვეტის ტექნიკა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი წიგნებისა, ნაშრომში გამოვიყენებთ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებსაც.

3. მეთოდოლოგია

ნაშრომის პირველ ნაწილში ჩვენ შევისწავლით 1982 წლისთვის არგენტინასა და დიდ ბრიტანეთში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს, საშინაო პოლიტიკური ფაქტორების მიმართებას საგარეო პოლიტიკასთან და არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტის რეალურ მოტივებს ფოლკლენდის კუნძულებთან დაკავშირებით. შევეცდებით, გავარკვიოთ, როგორი იყო პოლიტიკური ვითარება ორ ქვეყანაში, როგორ აღიქვამდა საზოგადოება ხელისუფლებას, რამდენად აძლევდა ხელს იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტას ფოლკლენდის საკითხზე დაპირისპირება და რატომ მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს. აღნიშნული საკითხის შესწავლისას მოვიშველიებთ ეკონომიკურ სტატისტიკას, პოლიტიკური ფიგურების განცხადებებს და სხვა პირველად თუ მეორეულ წყაროებს.

მეორე ნაწილში ვისაუბრებთ საზოგადოებრივ აზრზე და, კერძოდ, მედიის როლზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. სიღრმისეულად შევისწავლით, ერთი მხრივ, მედიის გავლენას საზოგადოებრივ აზრზე და, მეორე მხრივ, პოლიტიკური ელიტის გავლენას მედიაზე, რომლის მეშვეობით ისინი ქვეყანაში სასურველ საზოგადოებრივ აზრს ქმნიან. ამისთვის მიმოვიხილავთ ომისდროინდელ არგენტინულ და ბრიტანულ პრესას, რაზე აკეთებენ აქცენტს, საით მიმართავენ მკითხველის ყურადღებას, რა ტერმინოლოგიას იყენებენ ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებისას, რა მექანიზმებით ცდილობს პოლიტიკური ელიტა მედიის გაკონტროლებას და რამდენად ეფექტიანია ყოველივე ეს. ამ საკითხის შესასწავლად მივმართავთ კონტენტანალიზის მეთოდს.

მესამე ნაწილში შევისწავლით არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტის განცხადებებს დღევანდელ პირობებში. ამ კუთხით ჩატარებული დისკურსანალიზი დაგვეხმარება, გავიგოთ, როდის, როგორ და რისთვის იყენებენ კონფლიქტის თემატიკას პოლიტიკური ლიდერები და რამდენად ამართლებს ან არ ამართლებს აღნიშნული საკითხით მანიპულირება დღეს.

დაბოლოს, ჩვენი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მოვიშველიებთ „დომინანტური ღირებულებების“ თეორიას.

4. ტერიტორიული კონფლიქტი, პოლიტიკური ელიტა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესი

4.1 ფოლკლენდის ომი და „დროშის ირგვლივ გაერთიანების“ ეფექტი

რა ურთიერთმიმართება არსებობს საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის? საშინაო პოლიტიკა განაპირობებს საგარეო პოლიტიკას თუ, პირიქით, საგარეო პოლიტიკა ახდენს გავლენას საშინაო პოლიტიკაზე? ამ კითხვებზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, მაგრამ ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: საშინაო და საგარეო პოლიტიკა იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა შეუძლებელია. საგარეო პოლიტიკის გასაგებად, პირველ რიგში, საჭიროა ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებას ჩავუღრმავდეთ, ვინაიდან ხშირად სწორედ შიდა დეტერმინანტები განაპირობებენ იმას, თუ როგორ საგარეო პოლიტიკურ კურსს ატარებს სახელმწიფო.

ფოლკლენდის კონფლიქტთან დაკავშირებით ხშირად ისმის კითხვა, რატომ შეიჭრა არგენტინა

ფოლკლენდის კუნძულებზე 1982 წელს, როდესაც არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის შესაძლებლობებს შორის აშკარა ასიმეტრია არსებობდა და არგენტინა თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული? მკვლევა--რთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯი არგენტინის მხრიდან არასწორმა გათვლამ განაპირობა და ფოლკლენდის კუნძულებზე შეჭრას არგენტინის პოლიტიკური ელიტის მცდარი მოლოდინით ხსნის. აღნიშნული მოსაზრება, ერთი მხრივ, ლოგიკურია. ვარაუდი, რომ არგენტინა დიდი ბრიტანეთის მხრიდან მსგავს წინააღმდეგობას არ ელოდა, ბუნებრივია, რადგან არავის ეგონა, რომ ისეთი უმნიშვნელო ტერიტორიისთვის, როგორც ფოლკლენდის კუნძულები იყო, დიდი ბრიტანეთი არგენტინასთან ომში ჩაერთვებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამ არგუმენტისა, მსგავსი მტკიცება არგენტინის გადაწყვეტილებას არ ამართლებს და პასუხი კითხვაზე, თუ რატომ დაუპირისპირდა არგენტინა ბევრად უფრო ძლიერ სახელმწიფოს, კვლავ გაუგებარია.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფო, რომელსაც რეალიზმი უნიტარულ აქტორად განიხილავს, სინამდვილეში უნიტარული სულაც არ არის. ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება და ამ უთანხმოების გადაწყვეტის გზები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო პოლიტიკის შიდა წყაროებზე, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება.

დევიდ ჰიუმი ნაშრომში „მმართველობის პირველი პრინციპების შესახებ“ გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, როგორ ემორჩილება მართული უმრავლესობა მმართველ უმცირესობას მაშინ, როდესაც ძალა ყოველთვის უმრავლესობის ხელშია. მისივე განმარტებით, მმართველ უმცირესობას მართული უმრავლესობისთვის არაფრის შეთავაზება არ შეუძლია, გარდა აზრისა, და, ამდენად, მმართველობის ერთადერთ საფუძველს საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს (Hume, 1994). შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის განმაპირობებელ შიდა წყაროებს შორის საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ზოგჯერ მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსი სწორედ საზოგადოების სურვილებიდან გამომდინარეობს, რომელთა გათვალისწინება პოლიტიკურ ელიტას საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესანარჩუნებლად სჭირდება.

არგენტინისა და ფოლკლენდის კუნძულების ურთიერთობებს თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ არგენტინის კუნძულებით დაიტერესების ხარისხი პერიოდულად იცვლება. არის დრო, როდესაც ფოლკლენდის საკითხი ქვეყანაში არც ისე მნიშვნელოვანია და არის პერიოდები, როდესაც არგენტინის ხელი-სუფლება აღნიშნული თემის წამოწევას ხელოვნურად ცდილობს. მსგავს დაკვირვებას მორიგ კითხვასთან მივყავართ: რატომ ხდება ფოლკლენდის საკითხის აქტუალიზაცია მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში და რამდენად უკავშირდება ეს პროცესი პოლიტიკური ელიტის პატრიოტულ მოტივებს? არის ეს დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების გულწრფელი სურვილი თუ საქმე გვაქვს პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულ პრაგმატულ ნაბიჯთან, რომელიც ქვეყანაში შექმნილი ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის სხვა თემებზე გადატანის მიზანს ემსახურება?

ამერიკული გაზეთ „თაიმის“ ჟურნალისტი ჰარვი მორისი არგენტინის ქმედებებს შიდაპოლიტიკურ დეტერმინანტებს უკავშირებს და მიიჩნევს, რომ არგენტინისთვის სუვერენიტეტის საკითხი მხოლოდ საზო-

გადგომრივი აზრის გაერთიანების საშუალებაა. მისთვის „მალვინების დილაკი“ არის ბერკეტი, რომელსაც არგენტინის სხვადასხვა დროის მთავრობა მზარდი საზოგადოებრივი უკმაყოფილების პერიოდში მოსახლეობის ყურადღების გასაფანტად მიმართავს. „არგენტინის მმართველი ხუნტა, რომელმაც 1982 წელს ფოლკლენდში შეჭრის ბრძანება გასცა, ეკონომიკურად ფართხალებდა და ექვსწლიანი მილიტარისტული მმართველობის წინააღმდეგ აგორებულ სამოქალაქო უკმაყოფილებას ებრძოდა. კუნძულების დაპყრობის ფაქტმა დიდი პოპულარობა დაიმსახურა და დროებით შიდაარეულობა ჩაახშო“ (Morris, 2015).

არგენტინის ფოლკლენდის კუნძულებზე შეჭრის გადაწყვეტილებას შიდა პრობლემებს უკავშირებს ასევე ვილ ჰეჯი. „1980 წლისთვის კაპიტალის დაკარგვამ და ბანკების გაკოტრებამ უცხოური სესხის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. მისი ოდენობა 1975 წლისთვის არსებული 8 მლრდ. დოლარიდან 1981 წელს 40 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა, რაც მთლიანი ეროვნული პროდუქტის 42%-ს შეადგენდა. 1980-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფომ უამრავი კერძო უცხოური სესხი მიითვისა. [...] ახირებულმა საგარეო პოლიტიკამ, გაუარესებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და მზარდმა საზოგადოებრივმა ზეწოლამ არგენტინის ხელისუფლება ისეთ დამანგრეველ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, როგორც 1982 წლის აპრილში ფოლკლენდის/მალვინის კუნძულების ინტერვენცია იყო“ (Hedges, 2011).

ამდენად, ორივე ავტორი არგენტინის ირაციონალურ და გაუმართლებელ გადაწყვეტილებას საზოგადოებაში არსებულ უკმაყოფილებას უკავშირებს. 1982 წელს მემარცხენე ძალების წინააღმდეგ მიმართულმა „ბინძურმა ომმა“ და ამ ომით გამოწვეულმა ადამიანის უფლებების ხუთწლიანმა რღვევამ რეჟიმის ლეგიტიმურობა და პოპულარობა შეარყია. ამას დაემატა ეკონომიკური პრობლემები. თუ 1980 წელს არგენტინის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ოდენობა 249 941 დოლარს შეადგენდა, 1981 წელს ეს მაჩვენებელი 202 996 დოლარამდე დაეცა, ხოლო 1982 წელს თითქმის განახევრდა და 100 801 დოლარს გაუტოლდა. რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის დინამიკას, 1980 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 0.7%-მდე მერყეობდა, 1981 წელს ეს მაჩვენებელი -5.744%-მდე შემცირდა, ხოლო 1982 წელს -3.149% გახდა, რაც წინა წელთან შედარებით უკეთესი იყო, თუმცა მაინც ქვეყანაში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე მეტყველებდა (Econ Stats: The Economic Statistics and Indicators Database, 2015). ასეთ ვითარებაში ხუნტის წევრები ერთადერთ გამოსავალს ფოლკლენდის კონფლიქტის ხელოვნურად გამწვავებაში ხედავდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ფოლკლენდის ომში ჩართვა „ბინძური ომის“ მეომრებს გმირებად და პატრიოტებად აქცევდა და საზოგადოების კეთილგანწყობას დაუბრუნებდა. არგენტინის ყოველდღიური გაზეთი „ლა პრენსა“ 1982 წლის თებერვალში გონივრულად შენიშნავს: „ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია ეს ხელისუფლება გადაარჩინოს, ომია“ (Eichensehr & Reisman, 2009).

მსგავსი ვითარება არსებობდა დიდ ბრიტანეთშიც. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინის გამოწვევის წინაშე უკან დახევა დიდი ბრიტანეთის პრესტიჟს შელახავდა, ეს უკანასკნელი არგენტინის გამოწვევას მხოლოდ პრესტიჟის გამო არ დასთანხმებია. მას შემდეგ, რაც მარგარეტ ტეტჩერმა უმუშევრობის და მზარდი ინფლაციის წინააღმდეგ მიმართული მკაცრი ეკონომიკური რეფორმები გაატარა, კონსერვატორების პოპულარობა უკიდურესად დაეცა და ტეტჩერი „ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე არაპოპულარულ

პრემიერ-მინისტრად" იქცა, რომელსაც საზოგადოების ყურადღების სხვა საკითხზე გადატანა არანაკლებ სჭირდებოდა. შესაბამისად, არგენტინის ფოლკლენდის კუნძულებზე ინტერვენცია „კონსერვატორების მხრიდან აღქმულ იქნა არა როგორც პრობლემა, არამედ შესაძლებლობა, რომ იდეოლოგიური პროექტი უფრო მისაღები ფორმით შეეფუთათ" (Eichensehr & Reisman, 2009).

ამდენად, პოლიტიკურმა ელიტამ არგენტინაშიც და დიდ ბრიტანეთშიც კონფლიქტი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა. არგენტინის ხუნტამ ხელისუფლების შესანარჩუნებლად ომი დაიწყო ქვეყანასთან, რომლის სამხედრო პოტენციალი არგენტინის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ხოლო დიდი ბრიტანეთი იმავე მოტივით არგენტინას დაუპირისპირდა იმ ტერიტორიისთვის, რომელიც მის სტრატეგიულ ინტერესებში არ შედიოდა. საერთაშორისო ურთიერთობებში მსგავს პრაქტიკას დივერსიული ომი ეწოდება. დივერსიული ომის თეორიის თანახმად, ქვეყნის მთავრობები დივერსიულ ომს თვითგადარჩენის მიზნით მიმართავენ და კრიზისულ პერიოდში „საგარეო პოლიტიკის ავანტიურაში" გამიზნულად ერთგებიან, რათა ხალხის ყურადღება ქვეყანაში არსებული სირთულეებიდან სხვა პრობლემაზე გადაიტანონ (Eichensehr & Reisman, 2009). ამ დროს წინა პლანზე გადმოდის არა ხელისუფლების უნიათობა და შეცდომები, არამედ ის, თუ როგორ ცდილობს ეს უკანასკნელი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გატარებას, რაც მათ რეიტინგს მნიშვნელოვნად ზრდის. დივერსიული ომის თეორიის ამოსავალ წერტილს „დროშის ირგვლივ გაერთიანების" ეფექტი წარმოადგენს, რომლის თანახმად, პრეზიდენტის მხრიდან საგარეო პოლიტიკის გატარებისას სამხედრო საშუალებების გამოყენება მის პოპულარობაზე დადებითად აისახება (Eichensehr & Reisman, 2009). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 1982 წლის არგენტინა და დიდი ბრიტანეთი „დროშის ირგვლივ გაერთიანების" კლასიკური მაგალითებია.

4.2 საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესი არგენტინასა და დიდ ბრიტანეთში

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ორივე მხარეს კონფლიქტი ქვეყანაში არსებული პრობლემების მისაჩქმალად და ხელისუფლების შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. ის, რაც არგენტინის და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტას რეალურად სურდა, იყო არა მშვიდობა, არამედ ომი, რომლის შეწყვეტისკენ მიმართული თითოეული ნაბიჯი ქვეყნის შიგნით მათ დიდ პოპულარობას უქადდათ. ამრიგად, ფოლკლენდის 1982 წლის ომი, რომელსაც შორიდან ჰეროიკული და იდეალისტური ელფერი დაჰკრავს, სინამდვილეში სრულიად პრაგმატულ და რეალისტურ გათვლებს ემყარებოდა და ორივე მხარის ერთადერთი მიზანი ომის იმგვარი კონსტრუირება იყო, რომ პოლიტიკური ელიტისთვის ხალხის კეთილგანწყობა მოეტანა.

მიიღო რა ფოლკლენდის კუნძულებზე შეჭრის გადაწყვეტილება, არგენტინის ხუნტა აღმოჩნდა ინფორმაციის მენეჯმენტის საგარეო პოლიტიკური პარადოქსის წინაშე. ერთი მხრივ, მას უნდა შეემუშავებინა საბრძოლო სტრატეგია, რომლითაც ფოლკლენდის კუნძულების ჯერ დაპყრობას და შემდეგ შენარჩუნებას შეეძლებდა. მეორე მხრივ, უნდა მოეხდინა საზოგადოების მობილიზება და მომზადება ისეთი ომისთვის, რომელშიც არგენტინა თავიდანვე წაგებისთვის იყო განწირული (Eichensehr & Reisman, 2009).

რთული დილემის გადასაჭრელად არგენტინის ხუნტამ მედიას მიმართა, რომელიც ომისთვის ნიადაგის შემზადებას ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე შეუდგა. 1982 წლის იანვრიდან არგენტინულ პრესაში გამოქვეყნებული ყველა სტატია და კომენტარი ფოლკლენდის კუნძულების დასაპყრობად დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო მოქმედების აუცილებლობაზე საუბრობს. 24 იანვარს „ლა პრენსას“ ჟურნალისტი ხ. იგლესიას რუოკო წერს: „თუ ლონდონთან ურთიერთობების „გარკვევისკენ“ მიმართული არგენტინის მორიგი ნაბიჯი არ გაამართლებს, ბუენოს აირესი კუნძულებს ძალის გამოყენებით აიღებს“ (Hunt, 1997). „კონვიქსიონი“ თებერვლის შუა რიცხვებში იუწყება, რომ თუ მოლაპარაკებების პროცესი დაუყოვნებლივ არ გაუმჯობესდა, ხელისუფლება „მოქმედების სხვა ფორმებს, მათ შორის კუნძულების სამხედრო გზით დაბრუნების შესაძლებლობას განიხილავს“ (Hunt, 1997). ხოლო როდესაც არგენტინელმა დიპლომატმა და ფოლკლენდის საკითხებზე მთავარმა მომლაპარაკებელმა, გუსტავო ფიგეროამ, განაცხადა, „თუ პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, არგენტინა უფლებას იტოვებს, [მოლაპარაკებების] სისტემა დაასრულოს და ის გზა აირჩიოს, რომელიც საკუთარი ინტერესების დასაცავად ყველაზე შესაფერისად მიაჩნიაო“, არგენტინულმა გაზეთმა „კლარინმა“ მეორე დღესვე გამოაქვეყნა, რომ განცხადება „კუნძულების სამხედრო ოკუპაციის შესაძლებლობას არ გამორიცხავს“ (Hunt, 1997).

ჯიმს ლ. რეი და ჯულიეტ კაარბო საზოგადოებრივ აზრთან დაკავშირებით საინტერესო ტენდენციას შენიშნავენ. მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლების პოლიტიკა თითქოს საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარეობს, ძნელი სათქმელია, ვინ ვისზე ახდენს გავლენას. დიპლომატები და საგარეო პოლიტიკის შემქმნელები საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას ხშირად იყენებენ ფრაზას „საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნით“, რაც თითქოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აზრის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მაგრამ საკითხავია, საზოგადოებრივი აზრი ახდენს გავლენას გადაწყვეტილებაზე თუ ხელისუფლება მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით ისე, რომ საზოგადოების სახელით ამართლებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც დიდი ხნის წინ თავად მიიღო (Ray & Kaarbo, 2002)? მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რეალურად ელიტა უფრო ახდენს გავლენას საზოგადოებრივ აზრზე, ვიდრე პირიქით. იგივე მოხდა არგენტინის შემთხვევაშიც.

არგენტინის პოლიტიკურმა ელიტამ მედიის საშუალებით ისეთი საზოგადოებრივი აზრი შექმნა, რომ 1982 წლის 2 აპრილს, როდესაც არგენტინა ფოლკლენდის კუნძულებზე შეიჭრა, ამ ნაბიჯმა ქვეყანაში დიდი მოწონება დაიმსახურა. ფოლკლენდზე განხორციელებულმა ინტერვენციამ ხუნტის მოლოდინი გაამართლა და „ბინძური ომის“ მეომრები პატრიოტებად და გმირებად აქცია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავს „საგარეო პოლიტიკურ ავანტიურაზე“ აგებული პოპულარობა არამყარია და პოლიტიკური ელიტის მიერ ხელოვნურად მოპოვებული კეთილგანწყობა შესაძლოა, საგარეო ასპარეზზე განცდილი კრახისთანავე სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებაში გადაიზარდოს. მას შემდეგ, რაც არგენტინის ხელისუფლება ფოლკლენდის ომში დამარცხდა, მისი პოპულარობა იმდენად შეირყა, რომ „დროშის ირგვლივ გაერთიანებულმა“ საზოგადოებამ თავისი ძალაუფლება არაპოპულარული ხელისუფლებისკენ მიმართა და ფოლკლენდის ომის დასრულებიდან ერთ წელში არგენტინის ხუნტა დაემხო.

ბევრად უფრო წარმატებული გამოდგა მედიამენეჯმენტი დიდ ბრიტანეთში, რომელმაც მედიის კონტროლი ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მოგვიანებით ფილიპ ნაითლმა ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ მედიის „ბრწყინვალე“ მანიპულაციას „საუკუნის მოდელი“ უწოდა (Knightley, 2000). ამ უკანასკნელმა გაატარა პოლიტიკა, რომელსაც ლოურენს ფრიდმენმა „სიმბოლური უსაფრთხოების პოლიტიკა“ უწოდა (Badsey, 1996) და რომელმაც ფოლკლენდში განხორციელებული მოქმედებები საზოგადოებრივ შოუდ აქცია (Wasburn, 2002). ბრიტანული მედია, რომელიც თეორიულად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, თავდაცვის სამინისტროს მანიპულაციისა და კონტროლის საგანი გახდა. შეიქმნა ხელოვნური ბარიერები, რათა მედიას საზოგადოების ჯეროვნად ინფორმირება ვერ მოეხერხებინა. გაძლიერდა ცენზურა. დაწესდა მკაცრი კონტროლი იმაზე, თუ რომელი ფაქტის გაშუქება შეეძლო მედიას და რომლის - არა. ამ მხრივ საყურადღებოა 25 მაისს განვითარებული მოვლენები, როდესაც „ქოვენთის“ ჩაძირვამ თავდაცვის სამინისტრო მომხდარის გაშუქებასთან დაკავშირებით „ძალიან რთული, მაგრამ არა უჩვეულო დილემის“ წინაშე დააყენა (Badsey, The Falklands Conflict as a Media War, 2005). შემოღებულ იქნა ფიზიკური წინაღობები. ოპერატიულ ჯგუფთან ერთად წასვლის უფლება მიეცათ მხოლოდ ბრიტანელ ჟურნალისტებს. კონფლიქტის ტერიტორიაზე არ დაიშვებოდა არც ერთი ტელევიზიის გადამღები ჯგუფი, გარდა თავად სამხედრო ძალების ოპერატორებისა. რეპორტიორებს არ გააჩნდათ ფოტომასალის გასაგზავნი აღჭურვილობა და მასალა, რომელიც ფოლკლენდიდან იგზავნებოდა, გადიოდა ორმაგ ცენზურას ჯერ ფოლკლენდში მყოფ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან და შემდეგ ლონდონის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში. მსგავსი შეზღუდვების დაწესებაში ბრიტანეთის ხელისუფლებას ხელს უწყობდა ბრიტანეთის ოფიციალური საიდუმლოების აქტი, რომლის თანახმად ყველა სამთავრობო ინფორმაცია საიდუმლოა, სანამ მასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება არ გაკეთდება (Wasburn, 2002). ამას ემატებოდა ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომ მათი მხარდაჭერა ჟურნალისტების პატრიოტული მოვალეობაა. აღნიშნული სტერეოტიპის გავლენა ნათლად გამოიკვეთა 4 მაისს, როდესაც „გენერალ ბელგრანოს“ ჩაძირვასთან დაკავშირებით „სანში“ გამოქვეყნებულ სტატიას „ბიბისის“ სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. დიდ ბრიტანეთში ეს შერაცხულ იქნა არაპატრიოტულ ქმედებად, რომელიც ძირს უთხრიდა ქვეყნის ინტერესებს (Badsey, The Falklands Conflict as a Media War, 2005). დაბოლოს, ბრიტანეთის ხელისუფლებამ გააჭიანურა ინფორმაციის გავრცელება. „შეფილდის“ ცოცხლად დარჩენილ მგზავრებთან 4 მაისს ჩაწერილი ინტერვიუები ბრიტანულ ტელევიზიაში 26 მაისს გაშუქდა, ხოლო „ბიბისის“ ოპერატორის, ბრაიან ჰესკეტის, მიერ მიტოვებული გამანადგურებლის შესახებ 7 მაისს გადაღებული ფილმი ბრიტანულმა საზოგადოებამ მხოლოდ 28 მაისს იხილა, მაშინ, როდესაც ხალხის ყურადღება მთლიანად გუზ-გრინის ბრძოლისკენ იყო მიმართული (Wasburn, 2002).

დიდი ბრიტანეთის მედიამენეჯმენტზე საუბრისას საყურადღებოა აგრეთვე ის ენა და ტერმინოლოგია, რომელსაც ბრიტანული მედია ომის პერიოდში იყენებს. „გენერალ ბელგრანოს“ ჩაძირვის გაშუქებისას ბრიტანული ტელევიზიის მთავარ საზრუნავს მომხდარი ფაქტის გამართლება წარმოადგენს. აღნიშ-

ნულთან დაკავშირებით არსებულ დისკურსში აქტიურად ფიგურირებს ფრაზები „საფრთხე“ და „თავდაცვა“. ბრიტანულ პრესაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კრუიჭერის ჩაძირვა ბრიტანელების უსაფრთხოების დაცვამ განაპირობა და ბრიტანეთი მინიმალური ძალის გამოყენებით დიპლომატიისთვის ზურგის გამაგრებას ცდილობს (Wasburn, 2002). საინტერესოა აგრეთვე ის აქცენტები, რომელთაც ბრიტანული მედია აკეთებს. „გენერალ ბელგრანოს“ შემთხვევაში ბრიტანული მედია საუბრობს არა დაღუპული არგენტინელების რაოდენობაზე, არამედ ბრიტანეთის მცდელობაზე, გადაარჩინოს ადამიანები. ხოლო არგენტინის მიერ „შეფილდზე“ განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში წინა პლანზე სწევს გარდაცვლილი ბრიტანელების რაოდენობას და მომხდარს არგენტინისგან მტრის ხატის შესაქმნელად იყენებს (Wasburn, 2002). იგივე მეორდება სამშვიდობო მოლაპარაკებების შემთხვევაშიც. 2 აპრილიდან 15 ივნისის ჩათვლით „ბიბისისა“ და „აითენის“ ტელევიზიების მიერ გაშუქებულ სიახლეებზე ჩატარებული კონტენტანალიზი აჩვენებს, რომ ამ პერიოდში ომის თემაზე გამოქვეყნებულ სიახლეებში 65% დიპლომატიას ეთმობა, რომელშიც ბრიტანული მედია ბრიტანული ხელისუფლების პოზიციის გამამყარებელ ტერმინოლოგიას მიმართავს. არგენტინა დახასიათებულია, როგორც „უდრეკი“ და „უკომპრომისო“, რომელიც მოლაპარაკებებში არის „ობსტრუქციული“ და „დროის გამწვლავი“; ხოლო ბრიტანეთი წარმოჩენილია, როგორც „მოქნილი“ და „სწრაფად მოქმედი“, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საკითხზე გაეროსთან მოლაპარაკებებს „კონსტრუქციულად“ უდგება (Wasburn, 2002).

არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის მედიაენეჯმენტის შესწავლიდან ჩანს, რომ დივერსიული ომი მხოლოდ საომარ მოქმედებებში ჩართვას არ გულისხმობს და მთავარია, როგორ მოხდება ამ ომის კონსტრუირება მედიასაშუალებების მიერ. არგენტინის შემთხვევაში დივერსიულმა ომმა ვერ გაამართლა, რადგან მედიის მიერ მიწოდებული ფაქტები არგენტინის გამარჯვებით არ იყო გამყარებული. თუმცა ბრიტანულმა მედიამ იმდენი მოახერხა, რომ, ბრიტანეთის მიერ გაცდილი დანაკარგების მიუხედავად, საზოგადოების მხარდაჭერა არა თუ არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა კიდევ. „ფაბლიქ ოფინიონში“ 1982 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ: „როდესაც ბრიტანეთის ჩართულობისა და დანაკარგის მიხედვებზე იმატა, დამკვირვებლებს გაუჩნდათ მოლოდინი, რომ საზოგადოების მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა. მაშინ, როდესაც „შეფილდი“ დაკარგეს, „სი ქინგის“ ვერტმფრენები განადგურდა, „ჰარიერის“ დაკარგეს, „ანტელოპი“ ჩაიძირა და უამრავი ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა, 23 მაისს ჩატარებულ გამოკითხვაში გამოკითხულთა 80% მიიჩნევდა, რომ ხელისუფლება სწორად იქცეოდა, როდესაც ფოლკლენდში მოქმედებას განაგრძობდა“ (Worcester & Jenkins, 1982).

4.3 ფოლკლენდის კონფლიქტი და პოლიტიკური ელიტა დღეს

ფოლკლენდის თემატიკას არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტა დღესაც აქტიურად მიმართავს. არგენტინის ამჟამინდელი პრეზიდენტი, კრისტიანა კირჩნერი, ფოლკლენდის შესახებ პროპაგანდას წლების განმავლობაში პერიოდულად ააქტიურებს. „ჩვენ გვსურს, დაცულ იქნას

გაეროს რეზოლუცია და ორივე ქვეყანა მოლაპარაკების მაგიდას მიუჭდეს” (Wilson, 2013), - ამბობს კრისტინა კირჩნერი 1965 წლის გაეროს რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც არგენტინას და დიდ ბრიტანეთს კუნძულების სუვერენიტეტის შესახებ მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს (2065 (XX). Question of the Falklands Islands (Malvinas), 1965). „ტელეგრაფის” ჟურნალისტ ჯონათან გილბერტის აზრით, კირჩნერი ამ გზით ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ჩავარდნების გადაფარვას ცდილობს. ჯერ კიდევ 2012 წლისთვის არგენტინაში არსებულმა ინფლაციის დონემ 24%-ს მიაღწია, რაც სამხრეთ ამერიკის რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. ამავე წლის ოქტომბერში გილბერტი წერს: „არგენტინის პრეზიდენტის წინააღმდეგ გამართულ ბოლოდროინდელ გამოსვლებში არგენტინის ქუჩებში 200 000 ადამიანი გამოვიდა, რომლებიც ინფლაციას, ქვეყანაში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას და კორუფციას აპროტესტებდნენ. ეკონომიკა მკვეთრად დაეცა. თუ 2011 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 9%-ს აღემატებოდა, წელს 3,4%-ს შეადგენს. დამოუკიდებელი ანალიტიკოსები, რომლებიც ამბობენ, რომ ხელისუფლება მონაცემებით მანიპულირებს, ვარაუდობენ, ეს მაჩვენებელი 1,5%-მდე შემცირდება” (Gilbert, 2012).

არგენტინის მთავრობა ფოლკლენდის თემას განსაკუთრებით ააქტიურებს წინასაარჩევნო პერიოდში. „კუნძულის მცხოვრებლები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებიან,” - ამბობს არგენტინელი გენერალი, მარიო მენენდესი და, როგორც ჩანს, მის აზრს ბევრი არგენტინელიც იზიარებს. „ვის ანაღვლეს ფოლკლენდი?! ჩვენ კირჩნერი იმისთვის გვჭირდება, რომ არგენტინას მიხედოს,” - აცხადებს პრეზიდენტის სასახლესთან გამართული პროტესტის ერთ-ერთი მონაწილე (Gilbert, 2012). არგენტინის ხელისუფლებას ამომრჩეველთა ყურადღების გასაფანტად ფოლკლენდის კონფლიქტით მანიპულირებაში ადანაშაულებს თავად ბრიტანეთი, რომლის ფინანსთა მინისტრმა, მარკ საიმონდსმა, საპარლამენტო კომიტეტთან საუბრისას განაცხადა, რომ არგენტინის ხელისუფლება ფოლკლენდთან დაკავშირებულ უთანხმოებას შიდა ეკონომიკური მიზნებისთვის იყენებს. „დარწმუნებული ვარ, კირჩნერის მთავრობა თავისი რიტორიკით ცდილობს, ყურადღება გადაიტანოს იმ უზარმაზარი ეკონომიკური პრობლემებისგან, რომელიც არგენტინას აქვს” (UK says Argentina using Falklands row to distract from economic woes, 2013). უნდა აღინიშნოს, რომ საიმონდსის მტკიცება უსაფუძვლო სულაც არ არის. დაკვირვება აჩვენებს, როდესაც კირჩნერი ფოლკლენდის თემას უბრუნდება, მისი პოპულარობა მნიშვნელოვნად იზრდება.

დაბოლოს, არგენტინის ხელისუფლება ფოლკლენდის საკითხს ეროვნული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად და ნაციონალიზმის გასაღვივებლად იყენებს. „კუნძულების სუვერენიტეტთან დაკავშირებული დებატები მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის არ არის. ეს არის დისკურსი არგენტინის ეროვნული იდენტობის შესახებ, რისთვისაც კუნძულები ერთგვარ მეტაფორად იქცა” (Monella, 2012). ფედერიკო ლორენცისთვის „მალვინები არის საშუალება, ვკითხოთ საკუთარ თავს, როგორია სახელმწიფო, რომელსაც კუნძულების დაბრუნება და მისი მცხოვრებლების მიღება სურს.“ მისთვის მალვინის კონფლიქტი „არის მშვენიერი გზა იმისთვის, რომ ბანალურმა პატრიოტულმა დისკურსმა იშუშოს” (Monella, 2012). არგენტინელი პოლიტოლოგი და სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის ეროვნული საბჭოს (CONICET) წევრი, ვისენტე პალერმო, ფოლკლენდის საკითხს ნაციონალიზმის ლოგიკურ ასპექტად განიხილავს, რომელიც

თავის თავში „წარსულის ნარატივს, აწმყოს ინტერპრეტაციას და მომავლის მანდატს“ მოიცავს და ეროვნული იდენტობის ფორმირებას უწყობს ხელს (Monella, 2012). ეს არის მიზეზი იმისა, რომ, პრეზიდენტ კირჩნერის აგრესიული რიტორიკის მიუხედავად, ისტორიკოსი ლოურენს ფრიდმენი მორიგი ომის ალბათობას გამოორიცხავს და მიიჩნევს, რომ „პრეზიდენტი კირჩნერი უბრალოდ ნაციონალისტურ კარტს ათამაშებს“ (Morris, 2015).

ფოლკლენდის თემატიკას სათავისოდ იყენებს ასევე დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტა. „ბიბისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი, მაიკლ ფალონი, აცხადებს, რომ არგენტინისგან მომდინარე საფრთხე „ძალიან რეალურია“ და ბრიტანეთის მთავრობა ვალდებულია, კუნძულის მცხოვრებლების უსაფრთხოება უზრუნველყოს. ფალონი დიდ ბრიტანეთს მესიანისტურ როლს ანიჭებს და აცხადებს: „ჩვენ დავიცავთ კუნძულის მცხოვრებლების უფლებას, თავად გადაწყვიტონ საკუთარი მომავალი და დაიცვან საკუთარი ცხოვრების გზა ნებისმიერი მომავალი საფრთხისგან.“ ინტერვიუში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დიდ ბრიტანეთს კვლავ ექნება საჭირო აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ ეს პირობა მომავალშიც შეასრულოს (Britain to boost Falklands Islands defences, 2015). მაიკლ ფალონმა 23 მარტს თემთა პალატას განუცხადა, რომ ბრიტანეთი თავდაცვის მოდერნიზების მიზნით 10 წლის განმავლობაში 260 მლნ. დოლარის ინვესტირებას და ფოლკლენდის კუნძულებზე არსებული 1200 კაციანი პერსონალის შენარჩუნებას გეგმავს (Argentina Slams UK for Using Falklands As Pretext to Boost Defense Budget, 2015). მისივე განცხადებით, ბრიტანეთი ფოლკლენდის კუნძულებზე ორი RAF Chinook ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავის გაგზავნას აპირებს, რათა კუნძულის მცხოვრებლებმა ნებისმიერ შექმნილ ინციდენტზე „სწრაფი და გადამწყვეტი რეაგირების“ მოხდენა შეძლონ (Britain to boost Falklands Islands defences, 2015).

ბრიტანულ მედიაში მსგავს გადაწყვეტილებას კრისტინა კირჩნერისა და ვლადიმერ პუტინის თანამშრომლობას უკავშირებენ, რომლის მიხედვით რუსეთი არგენტინისთვის ხორბლის და ხორცის სანაცვლოდ თორმეტი საბრძოლო თვითმფრინავის გადაცემას აპირებს. „რუსეთის შესაძლო შეთანხმება არგენტინისთვის თორმეტი Su-24 ტიპის ბომბდამშენის მიწოდების შესახებ ბრიტანეთს ფოლკლენდის თავდაცვის გადახედვისკენ უბიძგებს“, - წერს ბრიტანული „ტელეგრაფი“ (Alexander, 2015). მაგრამ როდესაც ფალონი ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებას სთხოვენ, ის აცხადებს, რომ ორ ქვეყანას შორის მსგავსი ხელშეკრულების არსებობა დადასტურებული არ არის, თუმცა ბრიტანეთმა, ამის მიუხედავად, კუნძულებზე ჩართულობა უნდა გაზარდოს.

საქმე ისაა, რომ კირჩნერსა და პუტინს შორის მსგავსი შეთანხმება რომც შემდგარიყო, ეს დიდი ბრიტანეთისთვის საფრთხის შემცველი მაინც არ იქნებოდა, რადგან კირჩნერის აგრესიული რიტორიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ არგენტინელ ამომრჩევლებზე გათვლილი და არგენტინა რეალურად ბრიტანეთთან დაპირისპირებას არ აპირებს. „ჩვენ პრობლემები საკუთარ ქვეყანაშიც გვეყოფა. ინტერვენციის შესაძლებლობა არ არსებობს,“ - აცხადებს არგენტინარუსეთის ვაჭრობისა და ინდუსტრიის პალატის კოორდინატორი მათიას გარსია ტუნიონი (Gov't to denounce UK's Malvinas rearmament at

UN, 2015); ხოლო ფოლკლენდის საკითხებში არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი მოხელე, დანიელ ფილმუსი, დიდი ბრიტანეთის მტკიცებას აბსურდულს უწოდებს და სვამს კითხვას: „ჩვენ-გან თავდასხმას არავინ აპირებს და ვისგან იცავენ ისინი თავს?“ (Lough, 2015).

ბრიტანეთის მხრიდან სამხედრო ძალების გაძლიერების მცდელობას თავისებურად ხსნის არგენტინული მხარე. ფილმუსის განცხადებით, „სამწუხარო და არასწორია“, რომ ფოლკლენდის საკითხი დიდ ბრიტანეთში საარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენება. მისი აზრით, კონფლიქტის ფაქტორით სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად მანიპულირებენ. „ისინი ახდენენ არგენტინის პროვოცირებას იმ იმედით, რომ ქვეყანა ნაციონალისტური გრძნობების გასამძაფრებლად რეაგირებას მოახდენს, რაც არჩევნებში მათ სასარგებლოდ იმოქმედებს“ (Lough, 2015).

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ 1982 წლის ომი დიდი ხანია დასრულდა და კონფლიქტის თემამ აქტუალობა დაკარგა, არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტა აღნიშნული თემით მანიპულირებას კვლავ განაგრძობს. არგენტინა კონფლიქტის თემატიკას ეკონომიკური პრობლემების დასამალად და ნაციონალიზმის გასაღვივებლად იყენებს. ხოლო დიდი ბრიტანეთი ფოლკლენდის ფაქტორით წინასაარჩევნო პერიოდში თავდაცვაზე გაწეული ხარჯების გამართლებას ცდილობს. შესაბამისად, პასუხი კითხვაზე, თუ რა არის პოლიტიკური ელიტისთვის ფოლკლენდის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა, ნათელია. არგენტინაშიც და დიდ ბრიტანეთშიც ეს ყოველთვის იყო, არის და იქნება არა მიზანი, არამედ შიდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევი საშუალება.

5. დასკვნა

არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ორივე მათგანი ხელისუფლების შესანარჩუნებლად ჯერ ხელოვნურად წამოწყებულ ომში ჩაერთო, ხოლო შემდეგ კონფლიქტით მანიპულირების გზით პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას შეეცადა. ჩვენ ვიზიარებთ დევიდ ჰიუმის მოსაზრებას, რომ ერთადერთი საფუძველი, რომლითაც მმართველი უმცირესობა მართულ უმრავლესობას იმორჩილებს, საზოგადოებრივი აზრია. ჩვენ ასევე ვეთანხმებით ჯეიმს ლ. რეისა და ჯულიეტ კაარბოს მტკიცებას, რომ ხშირად პოლიტიკური ელიტა თავად ქმნის ისეთ საზოგადოებრივ აზრს, რომლის მეშვეობით საკუთარ გადაწყვეტილებას „საზოგადოების სახელით“ ამართლებს. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, პოლიტიკური ელიტის მხრიდან საზოგადოებრივი აზრის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ მიწოდებული აზრი საზოგადოების ძირითად ღირებულებებს ემთხვევა. ამავდეს მოწმობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში მედიის როლის შესწავლა.

აღნიშნული კვლევის შედეგად 1950-იან წლებში „სტიმული/რეაქციის“ (Stimulus/Response), იგივე „ინექციის“ (Injection), მოდელი ყალიბდება, რომელიც საზოგადოებას მედიის მიერ მიწოდებული გზავნილის პასიურ მიმღებად განიხილავს. აღნიშნული მოდელის თანახმად, მედიის მიერ გავრცელებული

იდეა ნარკოტიკის ინექციას ჰგავს, რომლის მეშვეობით მედია ხალხის შეხედულებებს აყალიბებს (Badsey, 1996).

1960-იანი წლებიდან „სტიმული/რეაქციის“ მოდელი დაღმასვლას განიცდის და ჩნდება ვარაუდი, რომ მედიის გავლენა ინდივიდზე არც ისე ძლიერია. მზარდი ფსიქოლოგიური და სოციალური კვლევების შედეგად ყალიბდება „ორი ნაბიჯის“ თეორია (Two Step Theory), რომელიც გულისხმობს, რომ ინდივიდის მიერ პირველ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია მეორე ეტაპზე მისი ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად გარდაიქმნება (Badsey, 1996). შესაბამისად, მედია ახდენს არა იდეის ინექციას, არამედ უბრალოდ წარადგენს აზრს, რომელსაც ინდივიდი საკუთარი რწმენიდან გამომდინარე მიიღებს, უარყოფს ან გადააკეთებს.

დაბოლოს, მესამე თეორია, რომელიც არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტას ყველაზე მეტად ესადაგება, 1970-იან წლებში ჩამოყალიბებული მარქსისტული პერსპექტივაა. აღნიშნული ტრადიცია მონაცემთა რეინტერპრეტაციას ახდენს და „დომინანტური ღირებულებების“ მოდელს აყალიბებს, რომელშიც მედია სოციალური და ეკონომიკური წნეხის პირობებში მუშაობს. თეორიის მიხედვით, მედიის ქმედება საზოგადოებაში დამკვიდრებული იდეოლოგიის განმტკიცებისკენ არის მიმართული და რაც უფრო შეესაბამება მის მიერ მიწოდებული აზრი საზოგადოების „დომინანტურ ღირებულებებს“, მით უფრო ძლიერია მისი გავლენა (Badsey, 1996). შესაბამისად, ჩვენს საკვლევ თემას რომ დავუბრუნდეთ, „დომინანტური ღირებულებების“ თეორიის თანახმად, პოლიტიკური ელიტის მიერ ფოლკლენდის თემით მანიპულირების წარმატება განპირობებულია არა მხოლოდ დივერსიული ომით და ქვეყანაში არსებული პრობლემებიდან საზოგადოების ყურადღების გადატანით, არამედ იმ ფაქტით, რომ არგენტინასა და დიდ ბრიტანეთში ფოლკლენდის დაცვა დომინანტურ ღირებულებას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

1514 (XV). Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and People. (1960 year 14 December). Retrieved 2015 year 6 April from United Nations: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/152/88/IMG/NR015288.pdf?OpenElement>

2065 (XX). Question of the Falklands Islands (Malvinas). (1965 year 11 December). Retrieved 2015 year 26 April from United Nations: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/218/28/IMG/NR021828.pdf?OpenElement>

Alexander, H. (2015 year 24 March). Falklands defence: Why is Argentina considering an aircraft deal with the Russians? Retrieved 2015 year 23 April from The Telegraph: <http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/southamerica/argentina/11491467/Falklands-defence-Why-is-Argentina-considering-an-aircraft-deal-with-the-Russians.html>

Argentina Slams UK for Using Falklands As Pretext to Boost Defense Budget. (2015 year 25 March). Retrieved 2015 year 18 April from Sputnik: <http://sputniknews.com/politics/20150325/1019995562.html>

Ashcroft, J. (2015 year 6 March). Falkland oil drilling kicks off with Zebedee spudding. Retrieved 2015 year 24 April from Proactive Investors United Kingdom: <http://www.proactiveinvestors.co.uk/companies/news/77998/falkland-oil-drilling-kicks-off-with-zebedee-spudding-77998.html>

Badsey, S. (2005). The Falklands Conflict as a Media War. In S. Badsey, R. P. Whittick Havers, & M. J. Grove, *The Falklands Conflict Twenty Years on: Lessons for the Future* (pp. 39-56). USA: Frank Cass.

Badsey, S. (1996). The Influence of the Media on Recent British Military Operations. In I. S. Carruthers, *War, Culture and the Media: Representations of the Military in 20th Century Britain* (pp. 5-21). England: Flicks Books.

Brindicci, M., & Bustamante, J. (2013 year 12 March). Falkland Islanders vote overwhelmingly to keep British rule. Retrieved 2015 year 26 April from Reuters: <http://www.reuters.com/article/2013/03/12/us-falklands-referendum-idUSBRE92B02T20130312>

Britain to boost Falklands Islands defences. (2015 year 24 March). Retrieved 2015 year 23 April from BBC: <http://www.bbc.com/news/uk-politics-32031342>

Bustamante, J. (2013 year 03 September). Falklands Sovereignty Referendum Moves Forward, Argentina Rejects Validity Of Malvinas Plebiscite. Retrieved 2015 year 10 April from Huffington Post: http://www.huffingtonpost.com/2013/03/11/falklands-sovereignty-referendum-malvinas-plebiscite_n_2846342.html

Charter of the United Nations. (1945 year 26 June). Retrieved 2015 year 24 April from United

Nations: <http://www.un.org/en/documents/charter/chapter1.shtml>

Econ Stats: The Economic Statistics and Indicators Database. (2015 year 17 March). Retrieved 2015 year 25 April from Economy Watch: <http://www.economywatch.com/economic-statistics/>

Eichensehr, K. E., & Reisman, W. M. (2009). Disputants' Domestic Constraints. In K. E. Eichensehr, & W. M. Reisman, *Stopping Wars and Making Peace: Studies in International Intervention* (pp. 20-23). The Netherlands: Koninklijke Brill.

Freedman, L. (2005). Origins of the Dispute. In L. Freedman, *The Official History of the Falklands Campaign, Volume 1: The Origins of the Falklands War* (p. 1). USA: Routledge.

Gavaghan, J. (2013 year 7 March). Falklands referendum: The view from the island. Retrieved 2015 year 10 April from Yahoo News: <https://uk.news.yahoo.com/falkland-islands-referendum-vote-on-sovereignty-amid-tension-between-britain-and-argentina-172502829.html#0zZe1SM>

Gilbert, J. (2012 year 7 October). Cristina Kirchner 'using Falkland Islands as a smokescreen' to hide failing economy. Retrieved 2015 year 18 April from The Telegraph: <http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/southamerica/argentina/9592424/Cristina-Kirchner-using-Falkland-Islands-as-a-smokescreen-to-hide-failing-economy.html>

Gov't to denounce UK's Malvinas rearmament at UN. (2015 year 26 March). Retrieved 2015 year 27 April from Buenos Aires Herald: <http://www.buenosairesherald.com/article/185260/gov%E2%80%99t-to-denounce-uk%E2%80%99s-malvinas-rearmament-at-un>

Hedges, J. (2011). Descent into Chaos. In J. Hedges, *Argentina: A Modern History* (pp. 217-218). London: I.B. Tauris.

Hume, D. (1994). Of the First Principles of Government. In D. Hume, & K. Haakonssen, *Hume: Political Essays* (pp. 16-19). United Kingdom: Cambridge University Press.

Hunt, W. B. (1997). The Dilemma of Getting to War. In W. B. Hunt, *Getting to War: Predicting International Conflict with Mass Media Indicators* (pp. 1-26). USA: The University of Michigan Press.

Knightley, P. (2000). In P. Knightley, *The First Casualty: The War Correspondent as Hero and Myth-Maker from the Crimea to Kosovo* (pp. 478-482). London: Prion.

Lavier, R. C. (2001). Historical Background. In R. C. Lavier, *The Falklands/Malvinas Case: Breaking the Deadlock in the Anglo-Argentine Sovereignty Dispute* (p. 19). Kluwer Law International: Netherlands.

Lough, R. (2015 year 25 March). British government using Falklands for election gains: Argentina. Retrieved 2015 year 27 April from Reuters: <http://www.reuters.com/article/2015/03/25/us-argentina-falklands-idUSKBN0ML2GJ20150325>

Monella, L. M. (2012 year 4 April). 'Las Malvinas Son Argentinas': Who Taught You That? Retrieved 2015 year 17 April from The Argentina Independent:

<http://www.argentinaindependent.com/currentaffairs/newsfromargentina/las-malvinas-son-argentinas-who-taught-you-that/>

Morris, H. (2015 year 4 March). Here's Why U.K.-Argentina Tensions are Rising Again Over the Falklands. Retrieved 2015 year 18 April from Time: <http://time.com/3756057/britain-argentina-falklands-threat/>

Ray, J. L., & Kaarbo, J. (2002). Inside States: The Making of Foreign Policy. In J. L. Ray, & J. Kaarbo, Global Politics (p. 129). USA: Charles Hartford.

The Universal Declaration of Human Rights. (1948 year 10 December). Retrieved 2015 year 24 April from United Nations: <http://www.un.org/en/documents/udhr/>

UK says Argentina using Falklands row to distract from economic woes. (2013 year 17 December). Retrieved 2015 year 18 April from Reuters: <http://www.reuters.com/article/2013/12/17/britain-argentina-falklands-idUSL6N0JW48220131217>

Wasburn, P. C. (2002). British Media Reports the Falklands War. In P. C. Wasburn, The Social Construction of International News: We're Talking about Them, They're Talking about Us (pp. 26-31). USA: Praeger Publishers.

Wilson, S. (2013 year 07 August). Argentina President Cristina Kirchner renews Falkland Islands claim at UN meeting. Retrieved 2015 year 26 April from The Telegraph: <http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/southamerica/falklandislands/10227319/Argentina-President-Cristina-Kirchner-renews-Falkland-Islands-claim-at-UN-meeting.html>

Worcester, R., & Jenkins, S. (1982 year June/July). Britain Rallies 'Round the Prime Minister'. Public Opinion, p. 54.